განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც ქვის ინდუსტრიის და კერამიკის თავისებურებებში გამოიხატება: ქვის დასამუშავებლად ძირითადად წნევით ატკეცვის ტექნიკა გამოიყენება, ხოლო კერამიკა კარგავს დეკორატიულ ელემენტებს და უფრო ფუნქციურ დატვირთვას იძენს. სპილენძის იარაღებისა და ტიგელების აღმოჩენა ცივად ჭედვისა და მეტალურგიის ჩასახვაზე მიგვანიშნებს. წინათ მიიჩნევდნენ, რომ ბრინჯაოს მღვიმის ზედა ფენები მხოლოდ ადრე ბრინჯაოს ხანას განეკუთვნებოდა, თუმცა მოპოვებული მასალის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე, ბრინჯაოს მღვიმე ქალკოლითის ეპოქაშიც დასახლებული ჩანს, იმ დროს ბრინჯაოს მღვიმე მუდმივ ან დროებით საცხოვრებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ეს აღმოჩენა გვაძლევს მნიშვნელოვან ინფორმაციას, ამდიდრებს დასავლეთ საქართველოს ქალკოლითის მწირ კოლექციებს. ძეგლისთვის სიახლეს წარმოადგენს და ბოლოს ეს კვლევა მნიშვნელოვანია ძეგლის ფორმირების ჰოლისტური გააზრებისთვის. სურ. 4, ლიტ. 14.

ავტ.

1.6.1.2.4. დმანისის ძეგლის არქეოლოგია და ფორმირების პროცესი M6 უბნის მონაცემების მიხედვით. /თ. შელია, რ. ფერინგი, მ. თაფენი, მ. ბუხსიანიძე, დ. ლორთქიფანიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #1. – გვ. 148-154. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

დმანისის პალეოლითური ძეგლის გათხრების M6 უბნის შესწავლის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი მონაცემები ძეგლზე ჰომინინების განსახლების ხასიათსა და ქცევის თავისებურებაზე. გეოარქეოლოგიურმა კვლევამ და ნამარხი ფაუნის ანალიზმა აჩვენა, რომ M6 იყო ადგილი, სადაც მასალა დიდი ალბათობით in situ მდგომარეობაში განამარხდა. ინდუსტრიის ანალიზის შედეგად ქვის იარაღების დამუშავების დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, თითო ნუკლეუსზე მცირე რაოდენობის ანატკეცით, რაც კორელაციაშია ფაუნის ანალიზის შედეგებთან. ძვლების ფრაგმენტების რაოდენობა მეტია მთელ ძვლებთან შედარებით. მკვეთრი განსხვავება ძვლების და ქვების თანაფარდობაშიც (1156/72) ადასტურებს, რომ აქ მტაცებლების და ადამიანების მიერ ძვლების დაგროვების ადგილი იყო. M6-ის კვლევის შედეგად დასტურდება, რომ დმანისი ქვედა პალეოლითში მრავალჯერადი განსახლების და განსხვავებული ქცევის ამსახველი არეალებისგან შემდგარი კომპლექსური ძეგლია, რაც ქვედა პალეოლითში მსოფლიოს მასშტაბით, ძალზედ იშვიათია. სურ. 1, ცხრ. 4, ლიტ. 7.

ავტ.

1.6.1.2.5. შირაქის ველის პალეოგარემოს რეკონსტრუქცია - პირველი სახელმწიფო ფორმირებების კვალი სამხრეთ კავკასიაში. კვლევის პირველადი შედეგები. /კ. ფიცხელაური/. სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი. – 2020. – #1. – გვ. 28-42. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

თანამედროვე არქეოლოგია დიდი ხანია გასცდა მხოლოდ ადამიანის კულტურული მემკვიდრეობის კვლევას და მიზნად ისახავს ადამიანისა და ისტორიული გარემოს, როგორც მთლიანობის შესწავლას. ნებისმიერი რეგიონისა და ეპოქის საზოგადოების წარსულის კვლევა უნდა იწყებოდეს თანადროული პალეოგარემოს დახასიათებით, რადგან სწორედ ამ ცვალებად, ეპოქალურად განსხვავებულ საფუძველზეა აგებული საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების მთელი სისტემა. ამგვარად, თუ დასაწყისშივე არ მოხდა ცალკეული ეპოქის პალეოგარემოს რეკონსტრუქცია, ნებისმიერი საზოგადოების წარსულის სათანადო გააზრების ყველა მცდელობა მნიშვნელოვანი ხარვეზებით წარიმართება, არ იქნება დაზღვეული არსებითი შეცდომებისგან და ჭეშმარიტების დადგენა გაძნელდება. სურ. 8, ცხრ. 1, ლიტ. 6.

ავტ.